

შპს „ხორცპროდუქტების ქარხანა-ვაკე“

ფინანსური და მმართველობის ანგარიშგება

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	1
მოგება/ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	2
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება	3
ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება	4

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

1. კორპორატიული ინფორმაცია	5
2. მომზადების საფუძველი	5
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა	6
4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები	10
5. ძირითადი საშუალებები.....	12
6. სასაქონლო მატერიალური მარაგები.....	13
7. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები.....	13
8. ფული და ფულის ეკვივალენტები.....	13
9. კაპიტალი	14
10. მიღებული სესხები.....	14
11. საგადასახადო ვალდებულებები.....	15
12. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	15
13. ამონაგები რეალიზაციიდან	15
14. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	16
15. რეალიზაციისა და დისტრიბუციის ხარჯი	16
16. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი	16
17. ფინანსური ხარჯი	16
18. პირობითი ვალდებულებები	17
19. ოპერაციები და ნაშთები დაკავშირებულ მხარეებთან	17
20. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები.....	17

მმართველობის ანგარიშგება

1. ინფორმაცია კომპანიის შესახებ.....	19
2. ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები	20
3. სუბიექტის განვითარების გეგმები	20
4. კვლევებისა და განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიებების მიმოხილვა	21
5. ინფორმაცია საკუთარი აქციების შეძენის შესახებ.....	21
6. წლიურ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხების შესახებ დამატებითი განმარტებები	21
7. ძირითადი რისკები და გაურკვევლობები.....	21

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „ხორცპროდუქტების ქარხანა-ვაკე“-ს სამეთვალყურეო საბჭოს და მეწილეებს

პირობითი მოსაზრება

ჩავატარეთ შპს „ხორცპროდუქტების ქარხანა-ვაკე“-ს (შემდგომში ასევე კომპანია) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგებისგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, ჩვენი დასკვნის - „*პირობითი მოსაზრების საფუძველი*“ - ნაწილში აღწერილი საკითხების გავლენით განპირობებული შესაძლო შედეგის გარდა, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს შპს „ხორცპროდუქტების ქარხანა-ვაკე“-ს ფინანსურ მდგომარეობას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

კომპანიას არ ჩაუტარებია სასაქონლო-მატერიალური მარაგების ინვენტარიზაცია 2024 და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. კომპანიის სააღრიცხვო ჩანაწერებისა და აქტივების სპეციფიკიდან გამომდინარე, ჩვენ ალტერნატიული პროცედურებითაც ვერ შევძელით დავრწმუნებულიყავით სასაქონლო-მატერიალური მარაგების არსებობაში და ფიზიკურ კონდიციაში, რაც ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში შეადგენს შესაბამისად 2,945 და 3,684 ათას ლარს. აღნიშნულიდან გამომდინარე, ჩვენ ვერ განვსაზღვრეთ საჭირო იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილ შესაბამის თანხებთან მიმართებაში.

კომპანიამ ვერ მოგვაწოდა საკმარისი და შესაფერისი დოკუმენტაცია 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არსებული ძირითადი საშუალებების ისტორიულ ღირებულებასთან დაკავშირებით, რაც შეადგენს 16,681 ათას ლარს. ასევე ვერ დავრწმუნდით რომ ცვეთის დათვლისთვის გამოყენებული ეკონომიკური მომსახურების ვადები შესაბამისია. შედეგად, ჩვენ ვერ განვსაზღვრეთ, საჭირო იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილ ძირითადი საშუალებების ისტორიულ ღირებულებასთან, ცვეთის ხარჯთან და დაგროვილ ცვეთასთან დაკავშირებით, როგორც მიმდინარე, ასევე შესაძარისი პერიოდისთვის.

კომპანიას 2024 და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არ ჩაუტარებია ძირითადი საშუალებების ინვენტარიზაცია. სააღრიცხვო ჩანაწერებისა და აქტივების სპეციფიკიდან გამომდინარე, მიწა და შენობა-ნაგებობების ჯგუფის გარდა, სხვა ძირითად საშუალებებზე, ჩვენ ალტერნატიული პროცედურებითაც ვერ შევძელით დავრწმუნებულიყავით ძირითადი საშუალებების არსებობაში და ფიზიკურ კონდიციაში. ასეთი ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულება 2024 და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს შესაბამისად 2,429 და 2,562 ათას ლარს. აღნიშნულიდან გამომდინარე, ჩვენ ვერ განვსაზღვრეთ საჭირო იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილ შესაბამის თანხებთან მიმართებაში.

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - “აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე” - ნაწილში. ჩვენ ვართ კომპანიისგან დამოუკიდებლები, როგორც ამას ითვალისწინებს ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ შემუშავებული კოდექსი პროფესიონალი ბუღალტრებისათვის (IESBA-ის კოდექსი). შევასრულეთ IESBA-ს კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც.

გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი პირობითი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

ფუნქციონირებადობასთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა

გვსურს თქვენი ყურადღება შევაჩეროთ ფინანსური ანგარიშგების მე-4 შენიშვნაზე (მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები), სადაც მოცემულია მენეჯმენტის პოზიცია საქმიანობის უწყვეტობის პრინციპის გამოყენებასთან დაკავშირებით. 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის აკუმულირებული ზარალი შეადგენს 4,160 ათას ლარს. ამასთან, 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მიმდინარე ვალდებულებები (სესხების გარეშე) მიმდინარე აქტივებს აჭარბებს 801 ათასი ლარით და კომპანია საჭიროებს ინვესტიციებს საოპერაციო საქმიანობის დასაფინანსებლად. ამავდროს, კომპანიას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჰქონდა ვადაგადაცილებული კრედიტორული დავალიანება.

მომავალში ვალდებულებების გასტუმრება და საქმიანობის შეუფერხებელი წარმართვა არსებითად არის დამოკიდებული დაგეგმილი შედეგების მიღწევაზე. მენეჯმენტს და დამფუძნებლებს სჯერათ, რომ კომპანია საშუალოვადიან პერსპექტივაში შეძლებს დადებითი საოპერაციო ფულადი ნაკადების გენერირებას, ამისთვის კომპანიას შემუშავებული აქვს განვითარების სტრატეგია და ბიზნეს მოდელი.

ჩვენი მოსაზრება მოდიფიცირებული არ არის ამ საკითხთან მიმართებით.

სხვა ინფორმაცია

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია სხვა ინფორმაციის მომზადებაზე. სხვა ინფორმაცია (წარმოდგენილი 18-22 გვერდებზე) მოიცავს მმართველობის ანგარიშგებას, მაგრამ არ მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებას და ჩვენ მიერ მასზე გაცემულ აუდიტორის დასკვნას.

ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია. თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება. ამასთან დაკავშირებით, ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირების პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე, მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

კომპანიის ხელმძღვანელობა ვალდებულია ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას შეაფასოს, შეუძლია თუ არა კომპანიას განაგრძოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ და საჭიროების შემთხვევაში, პასუხისმგებელია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და აღრიცხვის საფუძვლად ფუნქციონირებადი

საწარმოს დაშვების გამოყენებასთან დაკავშირებული საკითხების გამჭვირვაებაზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან ოპერაციების შეწყვეტა, ან მას არა აქვს აღნიშნულის განხორციელების გარდა სხვა რეალური ალტერნატივა.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით, ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენენ იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას დაეყრდნობიან.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვახდენთ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობის ან შეცდომის შედეგად არსებითი უზუსტობების დაშვების რისკების იდენტიფიცირებას და მათ შეფასებას, ამ რისკების შესაბამისი აუდიტორული პროცედურების დაგეგმვას და განხორციელებას და ისეთი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვებას, რომლებიც საჭიროებს და შესაბამისია ჩვენი დასკვნის საფუძვლის შესაქმნელად. თაღლითობის შედეგად წარმოშობილი არსებითი უზუსტობების ვერ გამოვლენის რისკი უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის, რადგან თაღლითობა შესაძლოა მოიცავდეს უკანონო ფარულ გარიგებებს, გაყალბებებს, ინფორმაციის განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას;
- ვსწავლობთ აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის მექანიზმებს, რათა დავგეგმოთ გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტურობაზე;
- ვაფასებთ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკების შესაბამისობას და ხელმძღვანელობის მიერ მომზადებული სააღრიცხვო შეფასებების და განმარტებითი შენიშვნების გონივრულობას;
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო;
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურას და შინაარსს, მათ შორის განმარტებით შენიშვნებს და ასევე იმას, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას;

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

ჩვენი ვალდებულებაა ჩატარებული პროცედურების საფუძველზე გამოვთქვათ მოსაზრება მმართველობის ანგარიშგების „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით (კანონი) განსაზღვრული ნაწილების ამ კანონთან შესაბამისობაზე და არსებითი უზუსტობების შემთხვევაში მივუთითოთ მათ არსზე, ასევე, განვაცხადოთ მმართველობის ანგარიშგებაში კანონით განსაზღვრული რაიმე ინფორმაციის წარმოდგენლობის შემთხვევაში.

მოსაზრება მმართველობის ანგარიშგებაზე

ჩვენი აზრით, მმართველობის ანგარიშგების კანონით განსაზღვრული ნაწილები შეესაბამება კანონის მოთხოვნებს.

შპს „ეკოვის საქართველო აუდიტი“-ს სახელით (რეგ #SARAS-F-344896)

ივანე კუტიბაშვილი (რეგ #SARAS-A-629166)

17 ნოემბერი 2025

თბილისი, საქართველო.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

ჩვენი ვალდებულებაა ჩატარებული პროცედურების საფუძველზე გამოვთქვათ მოსაზრება მმართველობის ანგარიშგების „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით (კანონი) განსაზღვრული ნაწილების ამ კანონთან შესაბამისობაზე და არსებითი უზუსტობების შემთხვევაში მივუთითოთ მათ არსზე, ასევე, განვაცხადოთ მმართველობის ანგარიშგებაში კანონით განსაზღვრული რაიმე ინფორმაციის წარმოუდგენლობის შემთხვევაში.

მოსაზრება მმართველობის ანგარიშგებაზე

ჩვენი აზრით, მმართველობის ანგარიშგების კანონით განსაზღვრული ნაწილები შეესაბამება კანონის მოთხოვნებს.

შპს „ეკოვის საქართველო აუდიტი“-ს სახელით (რეგ #SARAS-F-344896)

ივანე კუტიბაშვილი (რეგ #SARAS-A-629166)



17 ნოემბერი 2025

თბილისი, საქართველო.

შპს „ხორცპროდუქტების ქარხანა-ვაკე“
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	5	8,917	9,210
არამატერიალური აქტივები		43	68
სულ გრძელვადიანი აქტივები		8,960	9,278
მოკლევადიანი აქტივები			
სასაქონლო მატერიალური მარაგები	6	2,945	3,684
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	7	2,474	2,159
ფული და ფულის ეკვივალენტები	8	232	319
სულ მიმდინარე აქტივები		5,651	6,162
სულ აქტივები		14,611	15,440
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	9	1,300	1,300
დაუფარავი ზარალი	9	(4,160)	(4,316)
სულ კაპიტალი		(2,860)	(3,016)
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხები	10	747	370
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		747	370
მოკლევადიანი ვალდებულებები			
მოკლევადიანი სესხები	10	10,272	9,807
საგადასახადო ვალდებულებები	11	394	370
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	12	6,058	7,909
სულ მიმდინარე ვალდებულებები		16,724	18,086
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		14,611	15,440

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2025 წლის 17 ნოემბერს:

ანდრო გეგენავა	მარინა გვიჩია
დირექტორი	მთავარი ბუღალტერი

შპს „ხორცპროდუქტების ქარხანა-ვაკე“

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით


თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	5	8,917	9,210
არამატერიალური აქტივები		43	68
სულ გრძელვადიანი აქტივები		8,960	9,278
მოკლევადიანი აქტივები			
სასაქონლო მატერიალური მარაგები	6	2,945	3,684
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	7	2,474	2,159
ფული და ფულის ეკვივალენტები	8	232	319
სულ მიმდინარე აქტივები		5,651	6,162
სულ აქტივები		14,611	15,440
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	9	1,300	1,300
დაუფარავი ზარალი	9	(4,160)	(4,316)
სულ კაპიტალი		(2,860)	(3,016)
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხები	10	747	370
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		747	370
მოკლევადიანი ვალდებულებები			
მოკლევადიანი სესხები	10	10,272	9,807
საგადასახადო ვალდებულებები	11	394	370
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	12	6,058	7,909
სულ მიმდინარე ვალდებულებები		16,724	18,086
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		14,611	15,440

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2025 წლის 17 ნოემბერს:


ანდრო გვიშია
დირექტორი




მარინა გვიშია
მთავარი ბუღალტერი

შპს „ხორცპროდუქტების ქარხანა-ვაკე“

მოგება/ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	შენიშვნა	2024	2023
ამონაგები რეალიზაციიდან	13	36,347	32,906
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	14	(24,358)	(22,721)
საერთო მოგება		11,989	10,185
სხვა შემოსავალი		47	36
რეალიზაციისა და დისტრიბუციის ხარჯი	15	(7,373)	(6,649)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი	16	(3,137)	(2,948)
საოპერაციო მოგება		1,526	624
ფინანსური ხარჯი	17	(1,339)	(1,487)
კურსთაშორისი სხვაობიდან მიღებული ზარალი		(31)	(25)
მოგება/(ზარალი) დაბეგვრამდე		156	(888)
მოგების გადასახადი		-	-
წლის სრული შემოსავალი/(ზარალი)		156	(888)

შპს „ხორცპროდუქტების ქარხანა-ვაკე“

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	საწესდებო კაპიტალი	დაუფარავი ზარალი	სულ
31 დეკემბერი 2022	1,300	(3,428)	(2,128)
წლის სრული ზარალი	-	(888)	(888)
31 დეკემბერი 2023	1,300	(4,316)	(3,016)
წლის სრული შემოსავალი	-	156	156
31 დეკემბერი 2024	1,300	(4,160)	(2,860)

შპს „ხორცპროდუქტების ქარხანა-ვაკე“

ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	შენიშვნა	2024	2023
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან:			
მოგება/(ზარალი) დაბეგვრამდე		156	(888)
არაფულადი კორექტირებები:			
ცვეთა და ამორტიზაცია	5	1,008	1,121
ფინანსური ხარჯი	11	1,339	1,487
უიმედო და საექვო ვალების რეზერვის (შემცირება)/ზრდა	12	(31)	50
მარაგების გაუფასურება	6	(17)	646
კურსთაშორისი სხვაობიდან მიღებული ზარალი		31	25
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან სამუშაო კაპიტალის კორექტირებებამდე		2,486	2,441
სამუშაო კაპიტალის კორექტირება:			
შემცირება/(ზრდა) საოპერაციო აქტივებში:			
ცვლილებები სასაქონლო მატერიალურ მარაგებში		755	(1,055)
ცვლილებები სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში		(281)	(697)
ზრდა/(შემცირება) საოპერაციო ვალდებულებებში:			
ცვლილებები სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში		(1,848)	124
ცვლილებები საგადასახადო ვალდებულებებში		24	259
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან დაბეგვრამდე და პროცენტებამდე		1,136	1,072
გადახდილი პროცენტი	11	(427)	(322)
გადახდილი მოგების გადასახადი		-	-
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		709	750
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალების შესყიდვა		(702)	(629)
ძირითადი საშუალების გაყიდვა		2	17
არამატერიალური აქტივების შესყიდვა		11	(6)
წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობაზე		(689)	(618)
ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან			
აღებული სესხი	11	871	1,495
დაფარული სესხი	11	(970)	(1,509)
წმინდა ფულადი ნაკადები ფინანსურ საქმიანობაზე		(99)	(14)
წმინდა ზრდა/(შემცირება) ფულის ან ფულადი ეკვივალენტების		(79)	118
ფული და ფულის ეკვივალენტები პერიოდის დასაწყისში		319	210
კურსთა შორის სხვაობის ეფექტი ფულად ნაკადებზე		(8)	(9)
ფული და ფულის ეკვივალენტები პერიოდის ბოლოს		232	319

შპს „ხორცპროდუქტების ქარხანა-ვაკე“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

1. კორპორატიული ინფორმაცია

„ხორცპროდუქტების ქარხანა-ვაკე“ (შემდგომში კომპანია) არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომელიც დაფუძნდა 2008 წელს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიის საიდენტიფიკაციო ნომერია 205264284.

ძირითადი საქმიანობა. კომპანია საქართველოში წარმოადგენს ხორცპროდუქტების მწარმოებელ-სადისტრიბუციო კომპანიას, რომლის ძირითადი საქმიანობაა ხორცპროდუქტებით საცალო და საბითუმო ვაჭრობა. კომპანია ფლობს ხორცპროდუქტების მწარმოებელ ქარხანას და სასაწყობო მეურნეობას თბილისში. აღნიშნული სავაჭრო ნიშნით ხორცპროდუქტები იწარმოება 1961 წლიდან. ქარხანაში სხვადასხვა სახეობის ხორცპროდუქტი იწარმოება, რომელთა შეძენაც, კომპანიის კუთვნილ საფირმო მაღაზიასა და საქართველოს მასშტაბით დიდ სუპერმარკეტებში არის შესაძლებელი. შპს „ხორცპროდუქტების ქარხანა-ვაკე“ 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფლობს 18 საფირმო მაღაზიას (2023: 17). 15 მათგანი მდებარეობს თბილისში, ხოლო 3 რეგიონებში.

იურიდიული მისამართი და საქმიანობის ადგილი. კომპანიის იურიდიული და ფაქტობრივი მისამართია საქართველო, თბილისი, გლდანის რაიონი, გმირი კურსანტების ქუჩის II შეს. N7.

კომპანიის მეწილეები: მეწილეებს შორის წილობრივი გადანაწილება პერიოდების მიხედვით არის შემდეგი:

მფლობელი	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
ანდრო გეგენავა	50.00%	50.00%
სს „ვაკე“	50.00%	50.00%
	100%	100%

სს „ვაკე“-ს საბოლოო მფლობელები არიან ფიზიკური პირები, რომელთაგან კვირიკაძე დავითი ფლობს 58%-ს, ჩიკვაძე გიორგი - 24.43%-ს, მეზურნიშვილი თამაზი - 14.29%-ს, ხოლო დარჩენილი 3.28% ნაწილდება სხვა ფიზიკურ პირებზე.

2025 წლის ივნისის თვეში კომპანიის 50%-იანი წილის მფლობელმა კომპანიამ, სს „ვაკე“-მ, კუთვნილი 50%-იანი წილი საკუთრებაში გადასცა შპს „ჰოლდინგ-ჯი“-ს.

კომპანიას არ ყავს ერთი მაკონტროლებელი მხარე, გადაწყვეტილებები მიიღება ერთობლივად.

საქართველოს ბიზნეს გარემო. კომპანია საქმიანობას საქართველოში ახორციელებს. საქართველოს განვითარებადი ეკონომიკის გარკვეული მახასიათებლები აქვს, მათ შორის შედარებით მაღალი ინფლაციის დონე და მაღალი საპროცენტო განაკვეთები. ქართული საგადასახადო კანონმდებლობა სხვადასხვაგვარ ინტერპრეტაციას ექვემდებარება და ხშირ ცვლილებებს განიცდის.

საქართველოს მომავალი ეკონომიკური განვითარება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული მთავრობის მიერ მიღებულ ეკონომიკური, ფინანსური და მონეტარული გადაწყვეტილებების ეფექტურობაზე, ისევე როგორც საგადასახადო, საკანონმდებლო, მარეგულირებელ და პოლიტიკურ განვითარებაზე.

2. მომზადების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პირვანდელი ღირებულების საფუძველზე. ფინანსური უწყისები წარმოდგენილია ლარში და ღირებულებები დამრგვალებულია ათასებამდე, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე 12 თვიან პერიოდს.

შესაბამისობის განცხადება. აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება შესაბამისობაშია მცირე და საშუალო ზომის კომპანიებისთვის განსაზღვრული ფინანსური ანგარიშგების შედგენის საერთაშორისო სტანდარტთან (შემდგომში მსს ფასს) და საქართველოს კანონთან „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“.

ფინანსური ანგარიშგების მომზადება მსს ფასს-ის შესაბამისად მოითხოვს მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების გამოყენებას. ასევე, მოითხოვს ხელმძღვანელობამ გამოიყენოს მისი შეფასებები სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენების პროცესში. სფეროები, რომლებიც გამოირჩევა უფრო მაღალი ხარისხის მსჯელობებით

2. მომზადების საფუძველი (გაგრძელება)

ან სირთულით, ან სფეროები, სადაც შეფასებები და დაშვებები მნიშვნელოვანია ფინანსური ანგარიშგებისთვის, წარმოდგენილია მე-4 შენიშვნაში.

ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძველზე, იმის დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. ხელმძღვანელობას სჯერა, რომ უწყვეტობის პრინციპის გამოყენება შესაფერისია კომპანიისთვის. ხელმძღვანელობის მსჯელობა ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის გამოყენებასთან დაკავშირებით მოცემულია მე-4 შენიშვნაში.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

უცხოური ვალუტა. ლარი არის მთავარი საოპერაციო ვალუტა, ვინაიდან ლარი არის იმ ქვეყნის მთავარი საოპერაციო ვალუტა, სადაც კომპანია ფუნქციონირებს. უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშებზე. უცხოურ ვალუტაში გამოხატული შედეგები აღირიცხება ოპერაციის განხორციელების დღეს არსებული გაცვლის კურსის შესაბამისად. უცხოური ვალუტით მიღებული არამონეტარული შეფასებებია ოპერაციის დღის კურსით.

2024 და 2023 წლის 31 დეკემბრისთვის უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული ბოლო გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი	აშშ დოლარი	ევრო
31 დეკემბერი 2024	2.8068	2.9306
31 დეკემბერი 2023	2.6894	2.9753

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს სალაროში არსებულ ფულს, ბანკში განთავსებულ თანხებს მიმდინარე ანგარიშებზე და სხვა მოკლევადიან მაღალლიკვიდურ ინვესტიციებს სამ თვემდე ვადით. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

ძირითადი საშუალებები. ყველა ძირითადი საშუალება აღიარებულია პირვანდელ ღირებულებას გამოკლებული დაგროვილი ცვეთის საფუძველზე.

- **აღიარება და შეფასება.** ძირითადი საშუალების თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ აღირიცხება პირვანდელი ღირებულებით, ცვეთის და გაუფასურების ზარალის გათვალისწინებით. მოგება ან ზარალი, რომელიც წარმოიშობა ძირითადი საშუალებების ან მისი ერთეულის აღიარების შეწყვეტიდან (გაყიდვის ღირებულებას გამოკლებული საბალანსო ღირებულება) აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

- **შემდგომი დანახარჯები.** შემდგომი დანახარჯები შედის აქტივის მიმდინარე ღირებულებაში ან აღიარდება ცალკე აქტივად, საჭიროებისამებრ, მხოლოდ მაშინ, თუ მოსალოდნელია, რომ კომპანია მიიღებს აქტივთან დაკავშირებულ მომავალ ეკონომიკურ სარგებელს და აქტივის ღირებულების განსაზღვრა შესაძლებელია საიმედოდ. ჩანაცვლებული აქტივის საბალანსო ღირებულების აღიარება წყდება. შეკეთების და რემონტის ყველა სხვა ხარჯი აისახება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში იმ ფინანსურ პერიოდში, როცა ეს ხარჯები გაიწია.

- **ცვეთა.** აქტივის ნარჩენი ღირებულება და სასარგებლო მომსახურების ვადები საჭიროების შემთხვევაში გადაიხედება და რეგულირდება თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ძირითადი საშუალებაზე ან მის ცალკეულ ერთეულზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ როდესაც ის არის იმ ადგილას ან ისეთ სამუშაო მდგომარეობაში მოყვანილი, რაც აუცილებელია მის გამოსაყენებლად. თუ

ძირითადი საშუალება ერთხელ შევიდა ექსპლუატაციაში მას ცვეთა ერიცხება ბოლომდე, თუ არ მოხდა მისი გადატანა გასაყიდად გამიზნულად ან ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტისას.

ძირითად საშუალებებს ცვეთა ერიცხება წრფივი ცვეთის მეთოდით, ძირითადი საშუალების სასარგებლო მომსახურების ვადის შესაბამისად.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადებია:

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ჯგუფი	მომსახურების ვადა (წელი)
შენობა-ნაგებობები	30-50
მანქანა-დანადგარები	2-12
სატრანსპორტო საშუალებები	5-10
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	5-10
სხვა ძირითადი საშუალებები	2-10

არამატერიალური აქტივები.

- **აღიარება და შეფასება.** კომპანიის არამატერიალური აქტივები მოიცავს განსაზღვრული სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე სააღრიცხვო პროგრამებს. ცალკე შემენილი არამატერიალური აქტივები აღრიცხულია თვითღირებულებით დაგროვილი ამორტიზაციისა და გაუფასურების ზარალის გამოკლებით.
- **ამორტიზაცია.** ამორტიზება უნდა დაიწყოს მაშინ, როდესაც შესაძლებელია აქტივის გამოყენება, მაგ., როდესაც ის იმყოფება იმ ადგილზე და იმ მდგომარეობაში, როცა მისი გამოყენება შესაძლებელია ხელმძღვანელობის მიერ დასახული მიზნით. შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე არამატერიალური აქტივის ამორტიზებადი თანხა სისტემატურად უნდა გადანაწილდეს მის სასარგებლო მომსახურების ვადაზე.

არამატერიალურ აქტივებს ამორტიზაცია ერიცხებათ წრფივად სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადა არის 10 წელი.

მარაგები. კომპანიის მარაგები თავდაპირველად აღირიცხება თვითღირებულებით, ხოლო შემდეგ ნეტო სარეალიზაციო ღირებულებასა და თვითღირებულებას შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ყველანაირ დანახარჯს და სხვა ხარჯებს, რომელიც გაწეულია მარაგების ახლანდელ მდებარეობასა და მდგომარეობაში მოსაყვანად. მაგალითად, ტრანსპორტირებისა და იმპორტის ხარჯები, ასევე სხვა პირდაპირ მიკუთვნებადი ხარჯები.

კომპანია მარაგების აღრიცხვისთვის იყენებს ფიფო მეთოდს (პირველი შემოსავალში - პირველი გასავალში).

არაფინანსური აქტივების გაუფასურება. აქტივები, რომლებიც ექვემდებარება გაუფასურებას და ამორტიზაციას შემოწმებულია გაუფასურებაზე იმ შემთხვევაში, როდესაც მოვლენები ან გარემოებების ცვლილებები მიუთითებს, რომ მიმდინარე საბალანსო ღირებულება შესაძლოა არ იყოს ანაზღაურებადი. გაუფასურების ზარალი აღიარებულია იმ თანხის ოდენობით, რომლითაც აქტივის საბალანსო ღირებულება აღემატება მის ანაზღაურებად თანხას.

წინასწარი გადახდები. წინასწარი გადახდები გამოხატულია ფაქტიური ღირებულებით, საექვო ვალებზე შექმნილი რეზერვის გამოკლებით. წინასწარი გადახდა კლასიფიცირებულია, როგორც გრძელვადიანი, როდესაც წინასწარ გადახდასთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღება მოსალოდნელია ერთი წლის შემდეგ, ან როდესაც წინასწარი გადახდა დაკავშირებულია აქტივთან, რომელიც თავისთავად კლასიფიცირდება, როგორც გრძელვადიანი თავდაპირველი აღიარებისას. აქტივების შემენისთვის წინასწარი გადახდა გარდაიქმნება აქტივის მიმდინარე საბალანსო ღირებულებად, მას შემდეგ, რაც კომპანიამ მიიღო კონტროლი აქტივებზე და სავარაუდოა, რომ აქტივთან დაკავშირებული სამომავლო ეკონომიკური სარგებელი გადაეცემა კომპანიას. თუ არსებობს საფუძველი, რომ წინასწარ გადახდილი თანხის სანაცვლოდ არ მოხდება საქონლის ან მომსახურების მიღება, ხდება ავანსის გაუფასურება და სხვაობა აისახება მოგებაში ან ზარალში.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები. სავაჭრო ვალდებულებების დარიცხვა ხდება მაშინ, როდესაც მეორე მხარემ შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები და აისახება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

სავაჭრო მოთხოვნები. სავაჭრო მოთხოვნები არის ჩვეულებრივი საოპერაციო საქმიანობის ფარგლებში გაწეული სერვისის ან მიწოდებული საქონლის სანაცვლოდ მომხმარებლებისგან მისაღები თანხები. იმ შემთხვევაში, თუ მოთხოვნის დაფარვა მოსალოდნელია საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ თორმეტი თვის განმავლობაში ან ნაკლებ პერიოდში (ან მიმდინარე საოპერაციო ციკლის მანძილზე, თუ ეს ბიზნესისთვის დამახასიათებელია), წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი კლასიფიცირდება როგორც გრძელვადიანი აქტივები.

სავაჭრო მოთხოვნები თავდაპირველად აღიარებულია გარიგების ფასით, შემდგომში შეფასებულია ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით, გაუფასურების ანარიცხის

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

გამოკლებით. სავაჭრო და სხვა მოთხოვნების გაუფასურების ანარიცხი იქმნება იმ შემთხვევაში, როდესაც არსებობს ობიექტური მტკიცებულებები იმისა, რომ კომპანია ვერ შეძლებს დავალიანების თანხის სრულად ამოღებას მოთხოვნების თავდაპირველი პირობების შესაბამისად.

მოგების გადასახადი. საწარმოების მიერ მიღებული წლიური მოგება, გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, 2017 წლის 1 იანვრიდან არ იბეგრება საქართველოში. მოგების გადასახადი განაწილებულ მოგებაზე ირიცხება დივიდენდების სახით იმ პარტნიორებზე გადანაწილებულ მოგებაზე, რომლებიც ფიზიკური ან არარეზიდენტი პირები არიან საქართველოში, წმინდა განაწილების 15/85-ზე განაკვეთით. დივიდენდების გადახდით წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება, როგორც ვალდებულება და მოგების გადასახადის ხარჯი იმ პერიოდში, რომელშიც დივიდენდები გამოცხადდა, მიუხედავად იმისა, თუ ფაქტობრივად რომელი თარიღით ან რომელ პერიოდში მოხდა დივიდენდების გადახდა. გარკვეულ შემთხვევებში დასაშვებია დარიცხული საგადასახადო დავალიანებიდან გამოკეთებები, რომლებიც აღირიცხება, როგორც შესაბამის განაწილებასთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ხარჯის შემცირება. საქართველოს საგადასახადო სისტემის თავისებურებიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ საწარმოებს არ წარმოეშებათ გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ასევე ითვალისწინებს მოგების გადასახადით გარკვეული გარიგებების დაბეგვრას, რომლებიც ითვლება პირობითი მოგების განაწილებად (მაგალითად, არასაბაზრო ფასებით აღრიცხული გარიგებები, ბიზნეს საქმიანობასთან დაუკავშირებელი ხარჯები, ან საქონლისა და მომსახურების უსასყიდლო მიწოდება). ამგვარი გარიგებების დაბეგვრა აღირიცხება საოპერაციო გადასახადების ანალოგიურად და მოგება-ზარალის ანგარიშგების ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯების ნაწილში აისახება, როგორც გადასახადები, მოგების გადასახადის გარდა.

განუსაზღვრელი საგადასახადო პოზიციები. კომპანიის განუსაზღვრელი საგადასახადო პოზიციები თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხელახლა შეფასდება ხელმძღვანელობის მიერ. შეფასება ეფუძნება საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციას, რომლებიც ამოქმედდა საანგარიშო პერიოდის ბოლოს და ამგვარი საკითხების შესახებ ცნობილია სასამართლოს ან სხვა განჩინებებით.

დამატებული ღირებულების გადასახადი. გაყიდვებთან დაკავშირებული დამატებული ღირებულების გადასახადი გადასახდელია საგადასახადო ორგანოებისთვის იმ თარიღისთვის, რომელი მოვლენაც უფრო ადრე დგება (ა) კლიენტებისგან მისაღები ავანსების შეგროვება ან (ბ) საქონლის ან მომსახურების მიწოდება. ის ოპერაციები რომელიც ექვემდებარება დღგ-ით დაბეგვრას ან შესაძლებელია დღგ-ს ჩათვლის მიღება, სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარებულია დღგ-ით შემცირებული ღირებულებით.

საპენსიო შენატანები. 2019 წლის მაისში საქართველოს მთავრობამ მიიღო კანონი დაგროვებითი პენსიის შესახებ, რომლიც ძალაში შევიდა 2020 წლის 1 იანვრიდან. საპენსიო რეფორმის მიხედვით, სისტემაში ჩართული დასაქმებული პირის მხრიდან სახელმწიფო ბიუჯეტში განხორციელდებოდა 2%-ის გადახდა, აღნიშნული ნაწილი იფარება თანამშრომლის ხელფასიდან და კომპანიას ეს ნაწილი დამატებით ხარჯად არ ეკისრება. აღნიშნულის პარალელურად დამსაქმებელი თავის მხრივ, დამატებით 2%-ს რიცხავს, რომელიც ხარჯად აღიარდება ხელფასის ხარჯის დარიცხვასთან ერთად და წარმოდგენილია ადმინისტრაციულ ხარჯებში.

კაპიტალი. ავტორიზებული კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი იმ მოცულობით, რა მოცულობითაც კაპიტალი შევსებულია დამფუძნებლების მიერ. საწესდებო კაპიტალი აღიარდება დამფუძნებლების შენატანების რეალური ღირებულებით და კლასიფიცირებულია, როგორც წილობრივი ინსტრუმენტი.

ამონაგების აღიარება. ამონაგები შეფასებულია მიღებული ან მისაღები კომპენსაციის რეალური ღირებულებით და წარმოადგენს მიწოდებული საქონლის/მომსახურებისთვის მისაღები თანხის ოდენობას. კომპანია აღიარებს ამონაგებს, როდესაც ამონაგების ოდენობა შეიძლება ობიექტურად შეფასდეს და როდესაც მოსალოდნელია რომ მოცემული ოპერაციიდან საწარმო მიიღებს წინასწარ შეთანხმებულ სარგებელს. კომპანია ამონაგებში რთავს მხოლოდ საკუთარი სახელით მიღებული ან მისაღები ეკონომიკური სარგებლის შესაბამის თანხას. სააგენტო ურთიერთობებში, როდესაც კომპანია რწმუნებულის როლში გამოდის, ამონაგებში უნდა ჩართოს მხოლოდ საკომისიოს სახით მიღებული თანხები. მარწმუნებლის სახელით ამოღებული თანხები საწარმოს ამონაგები არ არის.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ამონაგები რეალიზაციიდან. კომპანია რეალიზაციიდან მიღებულ ამონაგებს აღიარებს მაშინ, როდესაც ხდება მოცემულ საქონელთან დაკავშირებული კონტროლის მომხმარებლისთვის გადაცემა. კონტროლის გადაცემა ხდება, როცა საქონელი გადაეცემა მომხმარებელს.

სხვა შემოსავალი. სხვა შემოსავლის აღიარება ხდება, როდესაც არსებობს რწმუნება, რომ კომპანია განხორციელებული ოპერაციებიდან მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და შესაძლებელია შემოსავლის ოდენობის საიმედოდ განსაზღვრა. შემოსავლის აღიარება ხდება მის მიღებაზე გაწეული ხარჯების გამოკლებით ოპერაციის განხორციელების პერიოდისათვის.

ხარჯების აღიარება. მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ხარჯები აღიარდება თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება. ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება დაუყოვნებლივ, შესაბამისი კრიტერიუმების დაკმაყოფილებისას.

დივიდენდები. დივიდენდები აღირიცხება, როგორც ვალდებულება და იქვითება კაპიტალიდან იმ პერიოდში, როდესაც ხდება მათი გამოცხადება და დამტკიცება. ნებისმიერი დივიდენდი, რომელიც ცხადდება საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდეგ და მანამ, სანამ მოხდება ფინანსური ანგარიშგების გამოშვებაზე გადაწყვეტილების მიღება, აღიარებულია ბალანსის შემდგომი მოვლენების შენიშვნაში.

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები. ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევა კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

კლასიფიკაცია მიმდინარე/გრძელვადიანის მიხედვით. კომპანია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აქტივებსა და ვალდებულებებს ყოფს მიმდინარე/გრძელვადიანი კლასიფიკაციით. აქტივი მიმდინარეა, თუ:

- მოსალოდნელია მისი გაყიდვა ან განკუთვნილია გასაყიდად ან მოსახმარებლად მომდევნო საანგარიშგებო პერიოდში და ძირითადად ინახება სავაჭრო მიზნებისთვის;
- მოსალოდნელია მისი გაყიდვა საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის ვადაში;
- ის წარმოადგენს ფულს და ფულის ეკვივალენტებს, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა გაყიდულია რაიმე ვალდებულების დაზღვევისთვის, საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის განმავლობაში.

ყველა სხვა აქტივი აღიარდება გრძელვადიანად.

ვალდებულება მიმდინარეა, თუ:

- მოსალოდნელია მისი დაფარვა მომდევნო საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში;
- ძირითადად გამოიყენება სავაჭრო მიზნებისთვის;
- მოსალოდნელია მისი დაფარვა საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის განმავლობაში;
- არ არსებობს ვალდებულების გადახდის თარიღის გადავადების უპირობო უფლება, საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის შემდეგ.

სხვა ყველა ვალდებულება აღიარდება გრძელვადიანად.

ტრანზაქციები დაკავშირებული მხარეებთან. დაკავშირებული მხარე არის პირი ან საწარმო, რომელიც დაკავშირებულია იმ საწარმოსთან, რომელიც ამზადებს ფინანსურ ანგარიშგებას (ანგარიშვალდებული საწარმო).

(ა) პირი ან მისი ახლო ნათესავი მიიჩნევა ანგარიშვალდებული საწარმოსთვის დაკავშირებულ მხარედ, თუ ეს პირი:

- (i) არის ანგარიშვალდებული საწარმოს, ან მისი მშობელი საწარმოს უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის წევრი;
- (ii) აკონტროლებს ან ერთობლივად აკონტროლებს ანგარიშვალდებულ საწარმოს;
- (iii) ან მას აქვს მნიშვნელოვანი გავლენა ანგარიშვალდებულ საწარმოზე; ან

(ბ) საწარმო მიიჩნევა ანგარიშვალდებული საწარმოსთვის დაკავშირებულად მხარედ, თუ შემდეგი პირობებიდან რომელიმე არსებობს:

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

- (i) ეს საწარმო და ანგარიშვალდებული საწარმო არიან ერთი და იმავე ჯგუფის წევრები (რაც იმას ნიშნავს, რომ მშობელი საწარმო, შვილობილი საწარმო და იმავე მშობელი საწარმოს სხვა შვილობილი საწარმოები ერთმანეთთან არიან დაკავშირებული);
- (ii) ერთი საწარმო არის მეორის მეკავშირე საწარმო ან ერთობლივი საქმიანობა (ან იმ ჯგუფის რომელიმე წევრის მეკავშირე საწარმო ან ერთობლივი საქმიანობა, რომლის წევრიც არის მეორე საწარმო);
- (iii) ორივე საწარმო წარმოადგენს ერთი და იმავე მესამე საწარმოს ერთობლივ საქმიანობას;
- (iv) ერთი საწარმო არის რომელიმე მესამე საწარმო ერთობლივი საქმიანობა, ხოლო მეორე საწარმო არის იმავე მესამე საწარმოსთვის მეკავშირე საწარმო;
- (v) ეს საწარმო არის ანგარიშვალდებული საწარმოს, ან ანგარიშვალდებულ საწარმოსთან დაკავშირებული რომელიმე საწარმოს დაქირავებულ პირთა შრომითი საქმიანობის შემდგომი გასამრჯელოების პროგრამის განმახორციელებელი. თუ ანგარიშვალდებული საწარმო თვითონ არის ასეთი პროგრამის განმახორციელებელი, სპონსორი დამქირავებლებიც ანგარიშვალდებული საწარმოსთვის დაკავშირებულ მხარედ მიიჩნევა;
- (vi) ამ საწარმოს აკონტროლებს, ან ერთობლივად აკონტროლებს (ა) ქვეპუნქტში მითითებული რომელიმე პირი;
- (vii) ეს საწარმო, ან იმავე ჯგუფში შემავალი სხვა საწარმო, რომლის ნაწილიც ის არის, ანგარიშვალდებული საწარმოსთვის, ან ანგარიშვალდებული საწარმოს მშობელი საწარმოსთვის ასრულებს მმართველობითი ხასიათის მომსახურებას;
- (viii) (ა) (ii) პუნქტში მითითებულ რომელიმე პირს აქვს მნიშვნელოვანი გავლენა ამ საწარმოზე, ან ეს პირი არის ზემოაღნიშნული საწარმოს (ან მისი მშობელი საწარმოს) უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის წევრი.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და დაშვებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის არსებულ გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის გათვალისწინებით. მომავალ პერიოდებში მიღებული ფაქტიური შედეგი, შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

• ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების გამოყენების მართებულობა.

კომპანიის უნარზე განაგრძოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ, გავლენას ახდენს შემდეგი ფაქტორები:

- 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას აქვს აკუმულირებული ზარალი 4,160 ლარის ოდენობით.
- ამასთან ერთად, კომპანიას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჰქონდა ვადადამდგარი კრედიტორული დავალიანება.

მენეჯმენტმა, იმის შესაფასებლად აქვს თუ არა კომპანიას უნარი განაგრძოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ, იხელმძღვანელა შემდეგი ფაქტორებით:

- 2025 წლის მესამე კვარტალში კომპანიაში მოხდა მეწილეთა სტრუქტურისა და მენეჯმენტის ცვლილება. მენეჯმენტის მიერ შემუშავებულია განვითარების სტრატეგია, რომელიც მიზნად ისახავს საკუთარი ბრენდის მაღაზიების ქსელის გაფართოებას და საწარმოს წარმადობის მოცულობის ზრდას. აღნიშნული სტრატეგიის ფარგლებში უკვე გაიხსნა ორი ახალი მაღაზია, რაც კომპანიისთვის შექმნის შესაძლებლობას გაზარდოს გაყიდვების მოცულობა და მოგების მარჟა.
- მენეჯმენტის მიერ განახლდა გრძელვადიანი ფინანსური მოდელი, რომელიც მოიცავს ფულადი ნაკადების საპროგნოზო მონაცემებს. განახლებული მოდელის მიხედვით, კომპანიას აქვს საკმარისი რესურსი გრძელვადიანი და მიმდინარე ვალდებულებების მომსახურებისთვის, მათ შორის საოპერაციო ხარჯების დაფინანსებისა და სესხის ყოველთვიური მომსახურების უზრუნველსაყოფად. განახლებული ფინანსური მოდელი და ფაქტიური შედეგები უმეტესწილად თანხვედრაში იყო ერთმანეთთან. კომპანია 2025 წელს ანგარიშგების გამოცემამდე პერიოდში ინარჩუნებს პოზიტიურ EBITDA-ს და შედეგები შესაბამისობაშია მოდელთან.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები (გაგრძელება)

- აღნიშნული მიზნების მისაღწევად, კომპანიის ახალმა მეწილემ განახორციელა 3,000 ლარის ოდენობით ფულადი კონტრიბუცია საწესდებო კაპიტალში, რაც უზრუნველყოფს საჭირო ლიკვიდურობისა და ოპერაციული საქმიანობის გაგრძელების უნარს.
- გარდა ამისა, 2025 წლის პირველ კვარტალში, კომპანიამ და ბანკმა მიაღწიეს შეთანხმებას საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს არსებული ვალდებულებების დისკონტირებული გამოსყიდვის შესახებ, რის შედეგადაც, კომპანიას მიეცა შესაძლებლობა მოეხდინა სესხების რეფინანსირება და აეღო დამატებით მოკლევადიანი სესხი, სამუშაო კაპიტალის დასაფინანსებლად.

აქედან გამომდინარე, კომპანიის მენეჯმენტი თვლის, რომ საქმიანობის უწყვეტობის პრინციპის გამოყენება მიზანშეწონილია და მომავალში კომპანია შეძლებს საოპერაციო შედეგების მნიშვნელოვან გაუმჯობესებას და ფუქნციონირებას გრძელვადიან პერიოდში.

- **სავაჭრო მოთხოვნის რეზერვი.** ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს კომპანია აფასებს არსებობს თუ არა იმის ნიშანი რომ ფინანსური აქტივი გაუფასურებულია. თუ არსებობს საკმარისი ნიშნები გაუფასურებისთვის, აქტივის ღირებულება მცირდება რეზერვის საშუალებით და ზარალის თანხა აღიარდება როგორც მიმდინარე პერიოდის ხარჯი. გაუფასურების ჯგუფური შეფასების მიზნით დებიტორული დავალიანება დაჯგუფებულია მსგავსი საკრედიტო რისკის მახასიათებლების საფუძველზე. ასეთი მახასიათებლები შეესაბამება სამომავლო ფულადი ნაკადების შეფასებას ასეთი აქტივების ჯგუფებისთვის, თითოეულ კატეგორიას განსაზღვრული აქვს ამ კატეგორიისთვის სპეციფიური გაუფასურების რეზერვი. მნიშვნელოვანი მოთხოვნები თავდაპირველად გაუფასურებაზე ფასდება ინდივიდუალურად. რეალური შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს შეფასებისაგან და კომპანიის შეფასებები შეიძლება უარყოფითად ან დადებითად გადაიხედოს მომავალში, შედეგების ან მოლოდინების მიხედვით.

- **ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის შეფასება.** აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას, მენეჯმენტი განიხილავს მოსალოდნელ გამოყენებას, ტექნიკურ მოძველებას და ფიზიკურ ცვეთას. ჩამოთვლილი პირობებისა თუ შეფასებების სისტემის ნებისმიერმა ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ცვეთის განაკვეთის კორექტირება.

- **საგადასახადო კანონმდებლობა.** მენეჯმენტი გაურკვეველ საგადასახადო მიდგომებს ხელახლა აფასებს ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ვალდებულებები აღიარდება იმ საგადასახადო მიდგომებისთვის, რაზეც ხელმძღვანელობის ვარაუდით საგადასახადო ორგანოები მაღალი ალბათობით დააკისრებენ კომპანიას დამატებით გადასახადებს, იმ შემთხვევაში, თუკი აღნიშნულ პოზიციებს სადავოდ გახდიან. შეფასება ეყრდნობა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის ძალაში შესულ ან არსებითად ძალაში შესულ საგადასახადო კანონების ინტერპრეტაციას, აგრეთვე სასამართლოს ან სხვა რომელიმე ცნობილ გადაწყვეტილებას აღნიშნულ საკითხებზე.

შპს „ხორცპროდუქტების ქარხანა-ვაკე“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

5. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები შესაძლებელია წარმოვადგინოთ შემდეგნაირად:

პირვანდელი ღირებულება	მიწა	შენობა- ნაგებობები	მანქანა დანადგარები	სატრანსპორტო საშუალებები	იჯარით აღებული კონტეინერების კეთილმოწყობა	სხვა	სულ
31 დეკემბერი 2022	1,184	6,306	5,157	844	572	2,618	16,681
შემოსვლა	-	27	232	77	91	196	623
გასვლა	-	-	-	(30)	-	(41)	(71)
31 დეკემბერი 2023	1,184	6,333	5,389	891	663	2,773	17,233
შემოსვლა	-	82	147	167	43	264	703
გასვლა	-	(2)	-	-	-	(4)	(6)
31 დეკემბერი 2024	1,184	6,413	5,536	1,058	706	3,033	17,930
							-
დაგროვილი ცვეთა							
31 დეკემბერი 2022	-	(648)	(3,686)	(528)	(304)	(1,808)	(6,974)
ცვეთა	-	(221)	(461)	(81)	(93)	(247)	(1,103)
გასვლა	-	-	-	13	-	41	54
31 დეკემბერი 2023	-	(869)	(4,147)	(596)	(397)	(2,014)	(8,023)
ცვეთა	-	(240)	(302)	(94)	(99)	(259)	(994)
გასვლა	-	-	-	-	-	4	4
31 დეკემბერი 2024	-	(1,109)	(4,449)	(690)	(496)	(2,269)	(9,013)
							-
საბალანსო ღირებულება							
31 დეკემბერი 2023	1,184	5,464	1,242	295	266	759	9,210
31 დეკემბერი 2024	1,184	5,304	1,087	368	210	764	8,917

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არსებული მიწა და შენობა-ნაგებობები გამოყენებულია მიღებული სესხების უზრუნველსაყოფად.

შპს „ხორცპროდუქტების ქარხანა-ვაკე“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

6. სასაქონლო მატერიალური მარაგები

სასაქონლო მატერიალური მარაგები შესაძლებელია წარმოვადგინოთ შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
სარეალიზაციო მარაგი	1,423	1,912
ნედლეული და მასალები	1,236	1,445
სხვა	286	327
სულ	2,945	3,684

7. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები შესაძლებელია წარმოვადგინოთ შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
სავაჭრო მოთხოვნები	2,776	2,743
სავაჭრო მოთხოვნები დაკავშირებულ მხარეებთან	168	63
სულ ფინანსური მოთხოვნები, ბრუტო	2,944	2,806
ანარიცხი უიმედო და საექვო მოთხოვნებზე	(737)	(768)
სულ ფინანსური მოთხოვნები, ნეტო	2,207	2,038
გადახდილი ავანსები	346	200
შემცირება მისაღებ სარგებლამდე	(79)	(79)
სულ არაფინანსური მოთხოვნები, ნეტო	267	121
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები, ნეტო	2,474	2,159

საექვო მოთხოვნების რეზერვის მოძრაობა შესაძლებელია წარმოვადგინოთ შემდეგნაირად:

31 დეკემბერი 2022	(735)
წლის დარიცხვა	(33)
რეზერვის გამოყენება	-
31 დეკემბერი 2023	(768)
წლის დარიცხვა	-
რეზერვის გამოყენება	31
31 დეკემბერი 2024	(737)

8. ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები შესაძლებელია წარმოვადგინოთ შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
ფული ბანკში ეროვნულ ვალუტაში	181	298
ფული საღაროში ეროვნულ ვალუტაში	46	21
ფული ბანკში უცხოურ ვალუტაში	5	-
სულ	232	319

2024 და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ბანკში არსებული ნაშთები განთავსებულია ბანკებში, რომლებსაც ფიტჩის სარეიტინგო სააგენტოს მიერ მინიჭებული აქვთ BB (გრძელვადიანი) რეიტინგი.

შპს „ხორცპროდუქტების ქარხანა-ვაკე“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

9. კაპიტალი

კომპანიის საკუთარი კაპიტალი მოიცავს დაუფარავ ზარალს და საწესდებო კაპიტალს.

ინფორმაცია კომპანიის მეწილეების შესახებ წარმოდგენილია პირველ შენიშვნაში

2024 და შესადარის წელს საწესდებო კაპიტალში შენატანი არ განხორციელებულა. შესაბამისად, საწესდებო კაპიტალი შეადგენს 1,300 ლარს.

2024 წელს კომპანიას არ გამოუცხადებია დივიდენდი (2023:0 ლარი).

10. მიღებული სესხები

მიღებული სესხები 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შესაძლებელია წარმოვადგინოთ შემდეგნაირად:

	ვალუტა	საპროცენტო განაკვეთი	დაფარვის ვადა	მოკლევადიანი	გრძელვადიანი
სესხი ფინანსური ინსტიტუტისგან	ლარი	12.5% -16%	2032	9,499	-
სესხი ფინანსური ინსტიტუტისგან	ლარი	14%	მოთხოვნამდე სესხი	773	-
იურიდიული პირებისგან მიღებული სესხი*	აშშ დოლარი	21%-32%	2024	-	747
სულ				10,272	747

მიღებული სესხები 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შესაძლებელია წარმოვადგინოთ შემდეგნაირად:

	ვალუტა	საპროცენტო განაკვეთი	დაფარვის ვადა	მოკლევადიანი	გრძელვადიანი
სესხი ფინანსური ინსტიტუტისგან	ლარი	12.5% -16%	2025	8,591	-
სესხი ფინანსური ინსტიტუტისგან	ლარი	14%	მოთხოვნამდე სესხი	686	-
იურიდიული პირებისგან მიღებული სესხი*	აშშ დოლარი	21%-32%	2024	300	370
ფიზიკური პირებისგან მიღებული სესხი*	აშშ დოლარი	15%	2026	136	-
იურიდიული პირებისგან მიღებული სესხი	ლარი	15%	2024	70	-
დამფუძნებლისგან ნასესხები სახსრები	აშშ დოლარი	18%	მოთხოვნამდე სესხი	24	-
სულ				9,807	370

*კომპანია ახალი მაღაზიების გახსნისთვის საჭირო კაპიტალურ დანახარჯებს აფინანსებს იურიდიული და ფიზიკური პირებისგან მიღებული სესხებით.

საფინანსო ინსტიტუტებისგან მიღებული სესხების მიზნობრიობას წარმოადგენდა წარმოებისთვის საჭირო მანქანა დანადგარების შესყიდვა და საწარმოს რესტრუქტურირაცია.

სესხების უზრუნველსაყოფად გამოყენებული აქტივების შესახებ ინფორმაცია მოცემულია მე-5 შენიშვნაში.

ვინაიდან, დარღვეული კოვენანტების გამო 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფინანსურ ინსტიტუტს ჰქონდა სესხის სრულად მოთხოვნის უფლება, მიღებული სესხი, 10,272 ლარის ოდენობით (2023: 9,277 ლარი) წარდგენილია როგორც მიმდინარე ვალდებულება სხვა მოკლევადიან სასესხო ვალდებულებებთან ერთად.

მნიშვნელოვანი ფინანსური კოვენანტები წარმოდგენილია ქვემოთ:

შპს „ხორცპროდუქტების ქარხანა-ვაკე“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

10. მიღებული სესხები (გაგრძელება)

არსებული ვალდებულება	სტატუსი
Debt to EBITDA < 4-5,5	დარღვეულია
AR/Revenue < 0.1	არ არის დარღვეული
DSCR > 1.25	დარღვეულია

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ, 2025 წლის თებერვლის თვეში, სს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“-ს და კომპანიას შორის გაფორმებული შეთანხმების საფუძველზე, კომპანიამ განახორციელა ვალდებულების დისკონტირებული გამოსყიდვა. აღნიშნული ვალდებულების დაფარვა დაფინანსდა სხვა ფინანსური ინსტიტუტისგან მიღებული სესხით, 6,750 ლარის ოდენობით. შედეგად, სს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“-ს მიმართ კომპანიის ვალდებულება სრულად განულდა.

11. საგადასახადო ვალდებულებები

2016 წლის 1 იანვრიდან, საგადასახადო კოდექსში შესული ცვლილების შესაბამისად ყველა საგადასახადო ვალდებულება ირიცხება ერთიან სახაზინო ანგარიშზე/კოდზე, შესაბამისად, ფინანსურ ანგარიშგებაში, საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები წარმოდგენილია ნეტო თანხით.

12. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები შესაძლებელია წარმოვადგინოთ შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
სავაჭრო ვალდებულებები	5,200	6,880
სახელფასო ვალდებულებები	426	358
საპენსიო ვალდებულებები	334	573
სხვა	98	98
სულ	6,058	7,909

13. ამონაგები რეალიზაციიდან

ამონაგები რეალიზაციიდან შესაძლებელია წარმოვადგინოთ შემდეგნაირად:

	2024	2023
საკუთარი წარმოების საქონლის რეალიზაცია	31,287	28,941
შესყიდული პროდუქციის რეალიზაცია	5,060	3,965
სულ	36,347	32,906

საცალო და საბითუმო ვაჭრობიდან მიღებული ამონაგები კატეგორიების მიხედვით შესაძლებელია წარმოვადგინოთ შემდეგნაირად:

	2024	2023
საბითუმო ვაჭრობა	20,402	20,801
საცალო ვაჭრობა	15,945	12,105
სულ	36,347	32,906

კომპანია შემოსავალს აგენერირებს როგორც წარმოებული პროდუქციის დისტრიბუციით და სხვა კორპორატიული გაყიდვებით, ასევე საკუთარი მაღაზიების ქსელის საშუალებით. საკუთარ მაღაზიებში გაყიდვები შეადგენს მთლიანი გაყიდვების 44 %-ს (2023 – 37%).

შპს „ხორცპროდუქტების ქარხანა-ვაკე“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

14. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება

რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება კატეგორიების მიხედვით შესაძლებელია წარმოვადგინოთ შემდეგნაირად:

	2024	2023
საკუთარი წარმოების საქონლის თვითღირებულება	(20,051)	(19,338)
შესყიდული პროდუქციის თვითღირებულება	(4,307)	(3,383)
სულ	(24,358)	(22,721)

15. რეალიზაციისა და დისტრიბუციის ხარჯი

რეალიზაციისა და დისტრიბუციის ხარჯი შესაძლებელია წარმოვადგინოთ შემდეგნაირად:

	2024	2023
შრომის ანაზღაურება	(4,155)	(3,627)
იჯარა	(1,173)	(1,074)
სატრანსპორტო საშუალებების ექსპლუატაციის ხარჯი	(888)	(848)
ცვეთა	(412)	(307)
კომუნალური ხარჯი	(306)	(297)
რეკლამის ხარჯი	(264)	(251)
სხვა	(175)	(245)
სულ	(7,373)	(6,649)

16. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი

საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი შესაძლებელია წარმოვადგინოთ შემდეგნაირად:

	2024	2023
შრომის ანაზღაურება	(1,844)	(1,469)
ცვეთა და ამორტიზაცია	(189)	(179)
საბანკო მომსახურების ხარჯი	(158)	(134)
კომუნალური ხარჯი	(141)	(139)
პროფესიული მომსახურების ხარჯი	(131)	(225)
მიმდინარე რემონტის ხარჯი	(127)	(104)
საპენსიო შენატანის ხარჯი	(123)	(107)
საგადასახადო ხარჯი	(114)	(233)
სხვა	(310)	(358)
სულ	(3,137)	(2,948)

17. ფინანსური ხარჯი

ფინანსური ხარჯი შესაძლებელია წარმოვადგინოთ შემდეგი სახით:

	2024	2023
საპროცენტო ხარჯი ფინანსური ინსტიტუტებისგან მიღებულ სესხებზე	(1,038)	(1,138)
საპროცენტო ხარჯი იურიდიული პირებისგან მიღებულ სესხებზე	(248)	(200)
საპროცენტო ხარჯი ფიზიკური პირებისგან მიღებულ სესხებზე	(10)	(29)
სხვა	(43)	(120)
სულ	(1,339)	(1,487)

18. პირობითი ვალდებულებები

სასამართლო დავები. დროდადრო, ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში, შეიძლება კომპანიის წინააღმდეგ პრეტენზიები იქნას წამოყენებული. საკუთარი შეფასების საფუძველზე, აგრეთვე შიდა და გარე პროფესიული კონსულტაციების საფუძველზე, მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ არანაირი არსებითი დანაკარგი არ იქნება გამოწვეული მიმდინარე სასამართლო დავების შედეგად.

გადასახადები. საქართველოს სამეწარმეო და საგადასახადო კანონმდებლობაში არსებობს ისეთი მუხლები, რომელთა ინტერპრეტაცია სხვადასხვაგვარადაა, შესაძლებელი. ასევე არსებობს საგადასახადო ორგანოების მიერ სუბიექტური გადაწყვეტილებების მიღების პრაქტიკა. აქედან გამომდინარე, იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე კონკრეტული ქმედება, რომელიც ეფუძნება ხელმძღვანელობის მიერ ბიზნეს საქმიანობის თავისებურად განსჯას, არ იქნება მოწონებული საგადასახადო ორგანოების მიერ, კომპანიას შეიძლება დაერიცხოს დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და საურავები. მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ მათ გადაიხადეს საგადასახადო კანონმდებლობით მოთხოვნილი გადასახადები და დამატებითი რეზერვების შექმნა არ არის საჭირო. საგადასახადო ორგანოებს კომპანიის შემოწმება შეუძლიათ მაქსიმუმ წინა სამი წლის პერიოდზე.

19. ოპერაციები და ნაშთები დაკავშირებულ მხარეებთან

მხარეები, როგორც წესი, განიხილება, რომ ურთერთდაკავშირებულნი არიან, თუ იმყოფებიან საერთო კონტროლის ქვეშ ან თუ ერთ მხარეს აქვს სხვა მხარის კონტროლის უნარი ან შეუძლია მნიშვნელოვანი გავლენა იქონიოს მეორე მხარეზე ან განახორციელოს ერთობლივი კონტროლი მეორე მხარეზე ფინანსური და ოპერატიული გადაწყვეტილებების მიღებაში.

დაკავშირებულ მხარეებთან არსებული ნაშთები შემდეგია:

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	კავშირის სახე	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	სხვა დაკავშირებული მხარეები	168	63
მიღებული სესხები	მეწილე	-	24

კომპანიას დაკავშირებულ მხარეებთან ჰქონდა შემდეგი ოპერაციები:

მოგებისა და ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	კავშირის სახე	2024	2023
ამონაგები რეალიზაციიდან	სხვა დაკავშირებული მხარეები	2,975	3,387

ტრანზაქციები მენეჯმენტთან და დამფუძნებლებთან	2024	2023
უმაღლესი მმართველობითი რგოლის ხელფასები	287	298

20. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

2025 წლის თებერვლის თვეში, კომპანიამ და სს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“-მ მიაღწიეს შეთანხმებას, არსებული ვალდებულებების დისკონტირებული გამოსყიდვის შესახებ. აღნიშნული ვალდებულებების დაფარვა დაფინანსდა სხვა ფინანსური ინსტიტუტისგან მიღებული სესხით. შედეგად, სს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“-ს მიმართ კომპანიის ვალდებულება სრულად განულდა.

2025 წლის ივნისის თვეში, კომპანიის 50%-იანი წილის მფლობელმა კომპანიამ, სს "ვაკე"-მ, კუთვნილი 50%-იანი წილი საკუთრებაში გადასცა შპს "ჰოლდინგ.ჯი"-ს.

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ კომპანიის საწესდებო კაპიტალი გაიზარდა შპს "ჰოლდინგ.ჯი"-ს მიერ განხორციელებული ფულადი შენატანით, 3,000 ლარის ოდენობით.

2025 წლის სექტემბრის თვეში, კომპანიამ შეიძინა შპს „წისქვილი ბაზარი“-ს 100%-იანი წილი.

საანგარიშგებო თარიღის შემდგომ შეიცვალა კომპანიის დირექტორი ლევან ჩხაიძე, 2025 წლის სექტემბრის თვიდან ანგარიშგების გამოცემის თარიღამდე კომპანიის დირექტორია ანდრო გეგენავა.

შპს „ხორცპროდუქტების ქარხანა–ვაკე“

მმართველობის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

შპს „ხორცპროდუქტების ქარხანა-ვაკე“

მმართველობის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

1. ინფორმაცია კომპანიის შესახებ

„ხორცპროდუქტების ქარხანა-ვაკე“ (შემდგომში კომპანია) არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომელიც დაფუძნდა 2008 წელს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიის საიდენტიფიკაციო ნომერია 205264284.

კომპანიის საქმიანობის სახე და ძირითადი სამოქმედო ბაზრები: კომპანიის ძირითადი საქმიანობაა ხორცპროდუქტების წარმოება, დისტრიბუცია და საცალო გაყიდვები საფირმო მაღაზიებში. ბრენდის ისტორია იწყება 1961 წელს როდესაც თბილისში გაიხსნა პირველი სოსისების საამქრო.

კომპანიის შემოსავლები ძირითადი მიმართულებების მიხედვით არის შემდეგი:

	2024	2023
საკუთარი წარმოების საქონლის რეალიზაცია	31,287	28,941
შესყიდული პროდუქციის რეალიზაცია	5,060	3,965
სულ	36,347	32,906

საცალო და საბითუმო ვაჭრობიდან მიღებული ამონაგები კატეგორიების მიხედვით შესაძლებელია წარმოვადგინოთ შემდეგნაირად:

	2024	2023
საბითუმო ვაჭრობა	20,402	20,801
საცალო ვაჭრობა	15,945	12,105
სულ	36,347	32,906

არსებული პროდუქტები და მომსახურება, ბიზნეს პროცესები და სადისტრიბუციო მეთოდები.

კომპანია მომხმარებელს სთავაზობს ხორცპროდუქტების ფართო არჩევანს. კომპანიას სრულ ასორტიმენტში აქვს 171 დასახელების პროდუქცია. ძირითადი ჯგუფები, რისი წარმოებაც ხდება, გამოიყურება შემდეგნაირად:

- სოსისები და სარდელები;
- მოხარშული ძეხვი;
- შებოლილი ძეხვი;
- ნედლად შებოლილი ძეხვები და ხორცპროდუქტები;
- შაშხი;
- ზელები და ნახევრადფაბრიკატები.

პროდუქციის წარმოება მიმდინარეობს ცენტრალიზებულად ერთ საამქროში. 2019 წლის აგვისტოში კომპანიამ ექსპლუატაციაში გაუშვა და წარმოება სრულად გადმოიტანა ახალ საწარმოში.

საწარმოო პროცესთან ერთად კომპანია ასევე მართავს დისტრიბუციის ქსელს ქსელური მაღაზიებისა და სხვა მომხმარებლების მომარაგებისთვის და ასევე ფლობს საფირმო მაღაზიების ქსელს, სადაც მომხმარებელს საშუალება აქვს შეიძინოს ყველაზე ფართო ასორტიმენტით წარმოდგენილი კომპანიის პროდუქცია. 2019 წლამდე მენეჯმენტის გადაწყვეტილებით რეგიონებში მომარაგება ხორციელდებოდა სატელიტ სადისტრიბუციო კომპანიებთან თანამშრომლობით, რომლებსაც ჰქონდათ გარკვეულ ტერიტორიაზე პროდუქციის ექსკლუზიური დისტრიბუციის უფლება. შედეგების ანალიზიდან გამომდინარე 2019 წელს შეიცვალა მიდგომა და სავაჭრო წერტილების მომარაგება ხორციელდება საკუთარი ძალებით.

კომპანიამ 2024 წელს გააფართოვა საფირმო მაღაზიების ქსელი და გახსნა ახალი მაღაზია თბილისში, დიდუბე-ჩუღურეთში მირცხულავას ქ.ნ 9-ში. 2024 წელს კომპანიის გაყიდვების დიდი ნაწილი თბილისის უკავშირდებოდა (80%).

კომპანიის სტრუქტურა.

საანგარიშგებო პერიოდში კომპანიის დირექტორი იყო ლევან ჩხაიძე, 2025 წლის 10 სექტემბრიდან კომპანიის დირექტორია ანდრო გეგენავა. კომპანიის დირექტორს ნიშნავს სამეთვალყურეო საბჭო და მოქმედებს წესდებით განსაზღვრული უფლებამოსილების ფარგლებში და წარმოადგენს კომპანიას გარეშე პირებთან ურთიერთობაში.

საანგარიშგებო პერიოდში შპს „ხორცპროდუქტების ქარხანა-ვაკე“ არ ფლობდა ინვესტიციებს სხვა კომპანიებში.

შპს „ხორცპროდუქტების ქარხანა-ვაკე“

მმართველობის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

2. ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები

ფინანსური მაჩვენებლები

2024 წლის ამონაგებმა შეადგინა 36,347 ლარი, რაც დაახლოებით 10%-ით მეტია გასული წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე.

კომპანიის ძირითადი კოეფიციენტები:	2024	2023
სულ ამონაგები	36,347	32,906
სულ აქტივები	14,611	15,440
დასაქმებულთა საშუალო რიცხვი	385	382
მარჟა	33%	31%
EBITDA	748	1,726
EBITDA %	1%	5.2%
სწრაფი ლიკვიდურობის კოეფიციენტი (Quick ratio)	0.16	0.14
მიმდინარე ლიკვიდურობის კოეფიციენტი	0.34	0.34
მარაგების ბრუნვა (დღე)	44.14	59.19
კრედიტორების ბრუნვა (დღე)	90.78	110.50
დებიტორების ბრუნვა (დღე)	24.91	22.60

არაფინანსური მაჩვენებლები

თანამშრომლები: შპს „ხორცპროდუქტების ქარხანა-ვაკე“-ს პერსონალის რაოდენობა წლის განმავლობაში მერყეობდა 372-დან 396-მდე. კომპანიას აქვს თავისი დასაქმების პოლიტიკა, რომ უზრუნველყოფილი იყოს შესაბამისი კვალიფიკაციის, გამოცდილებისა და უნარების მქონე კანდიდატების მოძიება და შეფასება.

კომპანიის სპეციფიკიდან გამომდინარე, პრიორიტეტულია კვალიფიციური კადრების მოძიება, შენარჩუნება და მუდმივი ზრუნვა მათი კვალიფიკაციის ამაღლებაზე. ასევე არანაკლებ პრიორიტეტულია დარგში არსებული სიახლეების შესაბამისად პერსონალის გადამზადება და საჭიროების შემთხვევაში შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე კადრების მოძიება.

კომპანიისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია წარმოების პროცესში უსაფრთხოების ნორმების დაცვა და სტანდარტების შესაბამისი პროდუქციის წარმოება. ამისთვის, როგორც ზემოთ აღინიშნა, კომპანიაში ინერგება ხარისხის კონტროლის სტანდარტი. კომპანიის მენეჯმენტი არანაკლებ ყურადღებას უთმობს თანამშრომელთა უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის საკითხს. ამ მიზნით, საწარმოო პროცესი ყოველთვის მიმდინარეობს უსაფრთხოების უმაღლესი სტანდარტების და ნორმების შესაბამისად.

ურთიერთობა სახელმწიფო უწყებებთან: კომპანია, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, დაარსებულია და მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და არ ხვდება დამატებით რომელიმე სახელმწიფო უწყების რეგულირების სფეროში.

3. სუბიექტის განვითარების გეგმები

კომპანია მუდამ ფიქრობს განვითარებაზე და თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვაზე. კომპანიის გეგმებშია ქსელის მოდერნიზაცია და მოწინავე ტექნოლოგიების დანერგვა. აღნიშნული მიზნით კომპანიამ მიიღო დაფინანსება ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკისგან 2020 წელს.

კომპანიის სამომავლო გეგმებში ძირითადი მიმართულებებია:

ახალი მომხმარებლების მოზიდვა

კომპანია მუდმივად ცდილობს გააუმჯობესოს მომსახურების ხარისხი და შესთავაზოს ხელსაყრელი კომერციული პირობები არსებულ და პოტენციურ მომხმარებლებს, რათა მოხდეს ახალი კომპანიების მოზიდვა და შესაბამისად რეალიზაციის მოცულობის ზრდა.

ახალი ლოკაციების დამატება

კომპანიის გეგმებში შედის ახალი საფირმო მაღაზიების გახსნა და ქსელის გაფართოება როგორც თბილისში, ასევე რეგიონებში.

შპს „ხორცპროდუქტების ქარხანა-ვაკე“

მმართველობის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

3. სუბიექტის განვითარების გეგმები (გაგრძელება)

ახალი პროდუქციის დამატება

კომპანია მუდმივად მუშაობს ახალი ასორტიმენტის შექმნაზე და მომხმარებლისათვის მრავალფეროვანი პროდუქციის შეთავაზებაზე. აღნიშნული მიმართულებით კომპანიაში აქტიურად მიმდინარეობს მუშაობა.

4. კვლევებისა და განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიებების მიმოხილვა

2024 წელს კომპანია არ იყო ჩართული კვლევებში და მსგავს ღონისძიებებში.

5. ინფორმაცია საკუთარი აქციების შეძენის შესახებ

2024 წელს არ მომხდარა კომპანიის მიერ საკუთარი აქციების შეძენა.

6. წლიურ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხების შესახებ დამატებითი განმარტებები

წლიდან წლამდე დამდგარი მნიშვნელოვანი ცვლილებები:

ფინანსური ანგარიშგების არე	2024	2023	გადახრის ახსნა
ამონაგები რეალიზაციიდან	36,347	32,906	შენიშვნა 1
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	(24,358)	(22,721)	შენიშვნა 1

შენიშვნა #1:

2024 წელს რეალიზაციიდან მიღებული ამონაგების და შესაბამისად თვითღირებულების ზრდა გამოწვეული იყო საკუთარი წარმოების ზრდით. ასევე, წინა წელთან შედარებით FMCG ბაზრის მოცულობა გაიზარდა, რაც განპირობებული იყო მოსახლეობის დანახარჯების მატებით.

7. ძირითადი რისკები და გაურკვევლობები

საქართველოსთან დაკავშირებული მაკროეკონომიკური და პოლიტიკური რისკები:

კომპანია საქმიანობს საქართველოში და მისი ბრუნვა მთლიანად მოდის საქართველოზე. შესაბამისად, კომპანიის საქმიანობის შედეგებზე, ზრდასა და განვითარებაზე საგრძნობლად მოქმედებს და მომავალშიც იმოქმედებს ქვეყნის ბიზნეს გარემო და პოლიტიკური ფაქტორები. ქვემოთ ცხრილში მოცემულია ქვეყნის ძირითადი მაკროეკონომიკური პარამეტრები:

ძირითადი მაკროეკონომიკური პარამეტრები	2024	2023
მოსახლეობის რიცხოვნობა 31 დეკემბრისთვის	3,695	3,694
მშპ მიმდინარე ფასებში, მილიარდი აშშ დოლარი	33.8	30.5
მშპ ერთ სულზე (მიმდინარე ფასებში), აშშ დოლარი	9,141	8,218.8
მშპ-ის რეალური ზრდა, %	9.4%	7.5%
საშუალო წლიური ინფლაცია	101.1	2.5%
პირდაპირი უცხოური ინვესტიციები FDI (მილიონი აშშ დოლარი)	966.3	1,594.7
უმუშევრობის დონე, %	13.9%	16.4%

საკრედიტო რისკი და მისი მართვის მექანიზმები

კომპანიას გააჩნია საკრედიტო რისკი, რომელიც წარმოადგენს რისკს, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ერთ-ერთი მხარე გამოიწვევს ფინანსურ ზარალს მეორე მხარისათვის თავისი მოვალეობის შეუსრულებლობით. საკრედიტო რისკი წარმოიქმნება კომპანიის მიერ საქონლის კრედიტით გაყიდვით და პარტნიორებთან სხვა ოპერაციებით, რაც წარმოქმნის ფინანსურ აქტივებს.

საკრედიტო რისკების კონცენტრაცია. კომპანიის საკრედიტო რისკები არ არის კონცენტრირებული ერთ რომელიმე კონტრაგენტზე, თუმცა არსებითად არის დამოკიდებული FMCG ბაზრის მსხვილ მოთამაშეებზე. კომპანია კორპორატიულ კლიენტებს სთავაზობს როგორც კრედიტით გაყიდვებს ასევე საავანსო გადახდებს.

7. ძირითადი რისკები და გაურკვევლობები (გაგრძელება)

შეთავაზებული პირობები დამოკიდებულია არსებულ რისკებზე და კომპანიის შესაბამის პოლიტიკაზე. კომპანიაში მოქმედი პრაქტიკით და სხვადასხვა შიდა ნორმატიული აქტებით შეთანხმებულია საკრედიტო ლიმიტების დაშვების და მართვის პოლიტიკა, რამაც უნდა უზრუნველყოს რისკების მართვა მისაღებ დონემდე ისე რომ შენარჩუნებული იყოს მოკლევადიანი და გრძელვადიანი ლიკვიდურობა და კომპანია დაცული იყოს არახელსაყრელი ეფექტისგან რისკების არაგონივრული კონცენტრირებით. საკრედიტო რისკი არ წარმოიშვება საფირმო მაღაზიებში რეალიზაციის შედეგად რადგან ანგარიშსწორება როგორც წესი ხდება სალაროსთან პროდუქციის შეძენისთანავე.

საბაზრო რისკი. საბაზრო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება შემცირდება საბაზრო ფაქტორების ცვლილების შედეგად. საბაზრო რისკი შეიძლება წარმოიშვას კომპანიის მიერ პროცენტიანი ან უცხოურ ვალუტაში არსებული ფინანსური ინსტრუმენტების ფლობის შედეგად. არსებობს რისკი, რომ ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულება ან მომავალი ფინანსური ნაკადები იმერყევებს საპროცენტო განაკვეთის ცვლილების გამო (საპროცენტო რისკი) და უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილების გამო (სავალუტო რისკი). ხელმძღვანელობის მიერ ფინანსური რისკის მართვის მიზანია კომპანიის ყოველდღიური ოპერაციების შესრულების უზრუნველყოფა, ოპერაციებიდან საკმარისი ფულისა და ფულადი ეკვივალენტების მიღება, რომ დააფინანსოს საოპერაციო და მიმდინარე კაპიტალური დანახარჯები და სასესხო ვალდებულებები მესამე მხარეების მიმართ.

სავალუტო რისკი. სავალუტო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება იმერყევებს უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვალებადობის გამო. კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ძირითადი ნაწილი აქვს ლარში, შესაბამისად მენეჯმენტი არ განიხილავს სავალუტო რისკს მნიშვნელოვან რისკად ბიზნესისათვის.

საპროცენტო განაკვეთის რისკი. საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიშობა საბაზრო საპროცენტო განაკვეთების პოტენციური ცვლილების გამო, რომელმაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალურ ღირებულებაზე. ადგილობრივი ბანკიდან აღებული სესხი პირდაპირ არის დამოკიდებული ბანკთაშორის რეფინანსირების განაკვეთზე და შესაბამისად კომპანიას წარმოეშვება საპროცენტო განაკვეთის რისკი.

მმართველობის ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2025 წლის 17 ნოემბერს.

ანდრო გეგენავა

დირექტორი

მარინე გვიჩია

მთავარი ბუღალტერი

შპს „ხორცპროდუქტების ქარხანა-ვაკე“

მმართველობის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

7. ძირითადი რისკები და გაურკვევლობები (გაგრძელება)

შეთავაზებული პირობები დამოკიდებულია არსებულ რისკებზე და კომპანიის შესაბამის პოლიტიკაზე. კომპანიაში მოქმედი პრაქტიკით და სხვადასხვა შიდა ნორმატიული აქტებით შეთანხმებულია საკრედიტო ლიმიტების დაშვების და მართვის პოლიტიკა, რამაც უნდა უზრუნველყოს რისკების მართვა მისაღებ დონემდე ისე რომ შენარჩუნებული იყოს მოკლევადიანი და გრძელვადიანი ლიკვიდურობა და კომპანია დაცული იყოს არახელსაყრელი ეფექტისგან რისკების არაგონივრული კონცენტრირებით. საკრედიტო რისკი არ წარმოიშვება საფირმო მაღაზიებში რეალიზაციის შედეგად რადგან ანგარიშსწორება როგორც წესი ხდება სალაროსთან პროდუქციის შეძენისთანავე.

საბაზრო რისკი. საბაზრო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება შემცირდება საბაზრო ფაქტორების ცვლილების შედეგად. საბაზრო რისკი შეიძლება წარმოიშვას კომპანიის მიერ პროცენტიანი ან უცხოურ ვალუტაში არსებული ფინანსური ინსტრუმენტების ფლობის შედეგად. არსებობს რისკი, რომ ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულება ან მომავალი ფინანსური ნაკადები იმერყევებს საპროცენტო განაკვეთის ცვლილების გამო (საპროცენტო რისკი) და უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილების გამო (სავალუტო რისკი). ხელმძღვანელობის მიერ ფინანსური რისკის მართვის მიზანია კომპანიის ყოველდღიური ოპერაციების შესრულების უზრუნველყოფა, ოპერაციებიდან საკმარისი ფულისა და ფულადი ეკვივალენტების მიღება, რომ დააფინანსოს საოპერაციო და მიმდინარე კაპიტალური დანახარჯები და სასესხო ვალდებულებები მესამე მხარეების მიმართ.


სავალუტო რისკი. სავალუტო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება იმერყევებს უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვალებადობის გამო. კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ძირითადი ნაწილი აქვს ლარში, შესაბამისად მენეჯმენტი არ განიხილავს სავალუტო რისკს მნიშვნელოვან რისკად ბიზნესისათვის.

საპროცენტო განაკვეთის რისკი. საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიშობა საბაზრო საპროცენტო განაკვეთების პოტენციური ცვლილების გამო, რომელმაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალურ ღირებულებაზე. ადგილობრივი ბანკიდან აღებული სესხი პირდაპირ არის დამოკიდებული ბანკთაშორის რეფინანსირების განაკვეთზე და შესაბამისად კომპანიას წარმოეშვება საპროცენტო განაკვეთის რისკი.

მმართველობის ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2025 წლის 17 ნოემბერს.


ანდრო გვიშავა
დირექტორი




მარინე გვიშია
მთავარი ბუღალტერი